

ღღას საგჰოთა საქართველოს 49 წელიწადი
შეუსრულდა. ქართველი ხალხი ზაივით აღნიშნავს
ამ ღირსსასწონვარ ღღასასწაულს!

-20-

◆ რიბა, 24 თებერვალი. აღ-
გოლობრივი მანქანი ტრენინგის
სარბენ ბილიკზე სსრ კავშირის
ნაკრების კანდიდატმა, 20 წლის
ლატვიელმა მილოსანმა ი. სილო-
ვმა 50 მ 5,5 წამში დაფარა. ეს
უმაღლესი საკავშირო მიღწევაა
დარბაზებისთვის. სილოვი სასტუ-
ლო სპორტსაზოგადოება „გარპას“
ზამთრის პირველობაში ასპარეზო-
ბლა.

აროლაბარაგო ყველა ძველსა, ზეირთლითი

1970 წ.
№ 39 თეგერვალი.
(4033) ოთხოზაბათი.
ზასი 3 კაპ.

საპ. სსრ მინისტრთა საბოროტან არსაუალი ზიწიპური კულტურისა და
სპორტის კომიტეტისა და კროზკაპშირითა რესპუბლიკური საბოროს ორგანო

გაზეთი გამოდის
1974 წლის
13 აპრილიდან

როგორც უკვე ვიტყობინე-
ბოლით, ამას წინათ შევიცის
ქალაქ ესტერსუნდში გამარ-
თულ მსოფლიო ჩემპიონატში
წარმატებით გამოვიდნენ საბ-
ქოთა კავშირის ბიატლონისტე-
ბი. 4x7,5 კმ-ზე ესტაფეტაში
(სროლით) ნოვოსიბირსკელმა
მა ვ. მამატოვმა და ა. ტიხო-
ვმა, ლენინგრადელმა რ. ხაფი-
ნმა და იუესკელმა ა. უშაკოვ-
მა ოქროს მედლები მოიპოვეს.

მსაჯთა გვარდია
მინდორზე გამოდის

სსრ კავშირის ფეხბურთის ფე-
დერაციაში დამტკიცდა სია იმ მსა-
ჯებისა, რომლებიც მოემსახურე-
ბიან საკავშირო ჩემპიონატის მატ-
ჩებს „ა“ კლასის უმაღლეს და I
კლასში:

ე. აზიმ-ზადე (ბაქო), ვ. ალოვი
(ლენინგრადი), კ. ანძიულისი (კაუ-
ნასი), ს. არხიპოვი (მოსკოვი), გ.
ბაღდასარი (ტაშკენტი), ვ. ბაბუ-
შვინი (მოსკოვი), გ. ბაქანიძე (თბი-

ზრენბურთის
გალესთან

ლენინგრადი, 23 თებერვალი. სა-
ბკოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულზე
ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის
სერიოზული განაცხადი გააყეთეს მოს-
კოვის „დინამოს“ სპორტსმენებმა.
დღეს აქ დამთავრებულ ტურში მათ
არც ერთი ქულა არ დაუკარგავთ, შვი-
დჯერ გამოვიდნენ მოედანზე და შვი-
დივეჯერ გაიმარჯვეს.

დღეს დედაქალაქის დინამოელმა
მოუგეს ბაქოს „ნეფტჩიანის“ — 3:0
(15:12, 15:4, 15:5).



სურათზე (მარცხნიდან): ვ. მამატოვი, ა. უშაკოვი, რ. ხა-
ფინი და ა. ტიხოვნი. ტელეფოტო საკედისა.

მცირე ზენბურთის
ვინალი

თბილისში ტრადიციად იქცა
სპორტის სახალისი გარდამავა-
ლი პრიზის გათამაშება ე. წ.
მცირე ზენბურთში, რომელიც
დიდი ინტერესს იწვევს თვით
მონაწილე ბავშვებშიც და მა-
ყურებლებშიც.

ეს შეგებრება კარგა ხანია
დაიწყო. ახლა დადგა ფინალურ-
რი გათამაშების ეტაპი. მასში
მონაწილეობას მიიღებენ განა-
თლების განყოფილების სპორ-
ტკოლის, ნორჩი დინამოელის,
„ლოკომოტივის“, ახალგაზრ-
დული საფეხბურთო სკოლის,
„განთადის“, „შრომითი რე-
ზერვის“, № 1 სკოლა-ინტე-
რნატის, აგრეთვე, თბილისის
რაიონების გუნდები.

თამაშები გაიმართება სპორ-
ტის სახალისეში. 27 თებერვალს
და 10 მარტს თამაშები დაიწ-
ყება 18 საათზე, ხოლო 28 თე-
ბერვალს და 9 მარტს — 17
საათზე.

ტაშკენტი

კლასის ფრენბურთულ ვაგთა გუნდებმა
(11 ჯგუფი) დაამთავრეს ქვეყნის პირ-
ველობის მეორე ტურის მატჩები. აი,
როგორ განლაგდნენ გუნდები სატურ-
ნირთ ცხრილში: „ლოკომოტივი“ (მო-
სკოვი) — 10 ქულა, „ბურევესტნიკი“
(თბილისი) — 7, „სპარტაკი“ (გროს-
ნო) — 6, „ალგა“ (ფრენზე) — 6,
„დინამო“ (ტაშკენტი) — 3, „დინ-
ამო“ (ერუვანი) — 3, „ზახმეტ“
(აშხაბადი) — 1, „ტაჯიკისტანი“ (დუ-
შანბე) — 0. (საკედის).

სიღინი

სიღინი, 23 თებერვალი. თაგისი ავსტრალიური ტურნის მეორე
მატჩი მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა აქ გამართა — ინგა-
როშით 2:1 დამარცხა ახალი სამხრეთ უელსის შტატის ნაკრები.

ბარსლონი

ბარსლონი, 23 თებერვალი. რუსურ-სალონა ზამთრის IV სპარტაქა-
დის პროგრამით აქ მიმდინარე სამთომთახილავრეთა ტურნირში სხვა რუსებ-
ლეკების სპორტსმენებზე გამოდინა. მსაჯთა კოლეჯიში მოაწყო ურთულესი ტრა-
სები, რამაც ბევრი სპორტსმენი დააზარალა. მაგალითად, წინაწარა ასპარეზო-
ბის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ს. ისაკოვა (მოსკოვი) სპეციალუ-
რი სლალომის ტრასაზე ორჯერ დაეცა. მისი ბედი სხვებზეც გაიზარდა. საბო-
ლოოდ ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ლ. ტიხოვა (კემეროვი), რომელმაც
ორივე ფინალური კვა მოგო. II ადგილზეა ვ. სილორთა (მოსკოვი), III —
ი. ტურუნდევსკაია (ლენინგრადი). ვაგთა შორის პირველი იყო ვ. ბულიაკოვი
(მოსკოვის ოლქი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვ. შინი (კავკ) და მ.
პრუგოვიცი (კირიუსკი). გუნდურ ჩათვლაში ლენინგრადელები ლიდერობენ.

ტიტოვა და
მურატოვი

უესტალიისის ხელგუნერ საციგურაოზე, რომელიც მი-
ლოვის გარეუბანში მიდებარობს, დიდი ინტერესი გამო-
იწვია სპრინტერულ მრავალჭიდში მოციგურავეთა საერ-
თაშორისო კავშირის (ისუ) პირველობის გათამაშებამ
(ამერიკის შეერთებული შტატების ამავე საციგურაოზე
28 თებერვალსა და 1 მარტს გაიმართება ქალთა მსოფ-
ლიო ჩემპიონატი).

შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორ-
ტსმენებმა. ქალთა შორის ყველას აჯობა გრენობლის
ოლიმპიადის „ოქროს სპრინტერმა“, მოსკოველმა ლ.
ტიტოვამ, რომელმაც 184,290 ქულა დააგროვა. ვაგთა
ასპარეზობაში ბადალი არ ჰყავდა კოლონელ ვ. მურა-
ტოვს — 163,450 ქულა.

სურათებზე: ლ. ტიტოვა და ვ. მურატოვი.



როცა ტალი
ისვენებდა

ფოთი, 24 თებერვალი (ტელე-
ფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ
გამართა III ტური. ჩემელიანი
— ივგოზნიკოვი 1:0, მიქაძე —
გიორგაძე 0:5:0,5, ბუსლავეი —
ლევინი 1:0, ჭინჭიხაშვილი — ვა-
ნოვი 1:0, გედევანიშვილი — ნე-
უროლოვი 1:0, უბილავა — ჩიქო-
ვანი, გურგენიძე — ბოკუჩავა (ორი-
30 გადაღო). ტალი ისვენებდა.

ამ დღეს კარგი შთაბეჭდილება
დატოვა ახალგაზრდა გედევანი-
შვილის თამაში. მივიწყებული
მეფის გამბრტის გამოყენებით მან
მძადრი იეროში განავითარა და
ბათუმელი მოქალაქის პოზიცია
გახალგაურა.

სიცოცხლო დაცევაში გურგენი-
ძემ დიდი პოზიციური უპირატესო-
ბა მოიპოვა. ბოკუჩავა თავამო-
დებით იგერიებდა სხვადასხვა მუ-
ქარას. ბრძოლა ეტლების ინდში-
ლში გადავიდა, სადაც გურგენიძეს
მოგების შანსი აქვს.

ჩიქოვანმა ხარისხის შეწირვით



ღკმელიმეტკრიან **ცენტერები**

პუშკინსკი (პოლონეთი), 23 თებერვალი.
პნევმატური შაშხანით სროლაში ევროპის
თასის აქ გამართულმა პირველმა გათამაშე-
ბამ 10 ქვეყნის წარმომადგენლები მიიწვიდა.
ასპარეზობამ საბჭოთა სნაიპერებს დიდი წა-
რმატება მოუტანა. მათ გაიმარჯვეს სერბო
გუნდურ ჩათვლაში, ქალთა და ვაგთა შო-
რის, და პროგრამის ინდივიდუალურ ნომრე-
ბში 6-დან 4 საპრიზო ადგილი დაიკავეს.
სპორტსმენები 10 მეტრიდან ისროდნენ,
მაგრამ, სამაგიეროდ, სამიწენებიც ძალიან
პატარა იყო: მათი ცენტრის დიამეტრი სულ

2 მილიმეტრს უდრიდა. პნევმატური იარა-
ღით სროლაში საბჭოთა სპორტსმენებმა
ოთხიდან სამ თანრიგში მოიპოვეს პირვე-
ლობა. ქალთა შორის საუკეთესო იყო თ. ჩე-
რკასოვა (რუსხრ) — 371 ქულა 400-დან.
ვაგებში ყველას აქობა მინსკელმა ვ. პარ-
ნიმოვიჩმა — 381 ქულა.

გოგონათა შეჯიბრება მოიგო ბ. ზარინიამ
(რიგა) — 359, ჰაბუტოვა ასპარეზობაში მოს-
კოველმა ი. პოლიაკოვმა და რუმინელმა ჩე-
ლიანუმ ერთანარი შედეგი (368) აჩვენეს,
მაგრამ რუმინელი უფრო ხშირად ახვედრე-

ბდა „ათიანს“ და უპირატესობაც მას მიეყუ-
თენა.

ასეთივე სურათი იყო პისტოლეტით სრო-
ლაში ვაგთა შეჯიბრების შემდეგ. აქ ერთნა-
ირი შედეგი (378 ქულა) აჩვენა სამმა სპორ-
ტსმენმა — ბრატუმ (რუმინეთი), ხოდევი-
ჩმა (პოლონეთი) და ლენინგრადელმა ვ.
სტოლიპინმა. ცენტრში მოხვედრამ სპორტ-
სმენები სწორედ ამ თამამიდევრობით გაანა-
წილა.

მეოთხე უმაღლესი ჭილღო სსრ კავშირის

ნაკრებს მოუპოვა ნ. იბრაგიმოვამ (რუსხრ)
— 378 ქულა. მან გაიმარჯვა პისტოლეტით
სროლოდ ქალთა შორის.

ეს წარმატება კარგი საჩუქარი იყო საბ-
ქოთა არმიის დღესასწაულისთვის.

ი. ლოლუა,
ჩემპიონატის მთავარი არბიტ-
რი, რესპუბლიკური კატეგო-
რიის მსაჯი.



